

Manana Kajaia

მანანა ქაჯაია

Georgian Technical University

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Simonika Dadiani –

Literary Aspects of the Painting of the “Georgian Modigliani”

(Cultural Environment of Georgian Emigration in the 1920s-30s)

სიმონიკა დადიანი –

**„ქართველი მოდილიანის“ ფერწერის ლიტერატურული ასპექტები
(1920-30-იანი წლების ქართული ემიგრაციის კულტურული გარემო)**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10839>

The paper examines the literary aspects of the émigré artist Simonika Dadiani, whose work remains largely unexplored in Georgian scholarship. It draws on the artist's notes and letters, many of which are still inaccessible. Born in 1916 in Imereti, Dadiani was forced to emigrate to France due to Soviet persecution of his aristocratic family. Living in Paris, he engaged with modernism and developed a style reminiscent of Amedeo Modigliani, earning the title “Georgian Modigliani.” His legacy, including family archives and donated canvases, reflects a fusion of national and cultural identity.

Keywords: Dadiani, Emigration, Art, Modernism, Modigliani

საკვანძო სიტყვები: დადიანი, ემიგრაცია, ხელოვნება, მოდერნიზმი, მოდილიანი

შესავალი. ქართველი ემიგრანტი ხელოვანები ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ. მათგან ზოგმა – სამშობლოსგან შორს – შექმნა ისეთი მნიშვნელოვანი ნამუშევრები, რომლებმაც მსოფლიო მასშტაბით გაითქვეს სახელი, მაგრამ სამშობლოში დიდხანს უცნობნი დარჩნენ.

სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება ემიგრანტი მხატვრის – სვიმონ (სიმონიკა) დადიანის შემოქმედება და ცხოვრება, რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ემიგრაციაში მყოფმა ხელოვანმა მთელი სიცოცხლე სამშობლოსთან მტკიცე სულიერი კავშირი შეინარჩუნოს. ამერიკელმა კრიტიკოსებმა მას „ქართველი მოდილიანი“ უწოდეს, ხოლო თვითონ – წერილებში და ოცნებებში – მუდამ ქართული კულტურის შვილად თვლიდა თავს.

სვიმონ დადიანი დაიბადა 1916 წელს, იმერეთის სოფელ წირქვალში, თავად ნიკოლოზ (კოკი) დადიანისა და მერი წერეთლის ოჯახში. 1921 წელს, ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, ისევე როგორც ქართველი ინტელიგენციის უმეტესობა, დადიანები იძულებულნი გახდნენ, ემიგრაციაში წასულიყვნენ და საფრანგეთში, კერძოდ, პარიზის მახლობლად, ლევილში ეპოვათ თავშესაფარი. სწორედ აქ დასახლდა ქართველ ემიგრანტთა უმრავლესობა და შეიქმნა ლევილის ქართული სათვისტომო, რომელიც ქართული სულიერებისა და კულტურის უცხო მიწაზე შენახვასა და გაღრმავებას ემსახურებოდა. სწორედ იქ ჩაუნერგეს სვიმონ დადიანს მას ის ეროვნული ღირებულებები, რომლებმაც შემდეგ მისი შემოქმედება და ცხოვრების გზა განაპირობა.

თუ რას ნიშნავდა სამშობლო დადიანების ოჯახისათვის, ამას ნათლად მოწმობს სვიმონ დადიანის მამის, ნიკოლოზ (კოკი) დადიანის საფლავის ეპიტაფია, რომელიც დღემდე დაცულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე:

„მიტხარ შენდობა და ჩემს მხარესა,
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,
სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე –
ძვლებიც კი ფიქრობს საქართველოზე!..“
(კალანდია, 2018, გვ. 10)

ამ სულისკვეთებით, სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულითა და მონატრებით იყო გამსჭვალული დადიანების მრავალრიცხოვანი ოჯახის თითოეული წევრის ცხოვრება და მოღვაწეობა და ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა სვიმონ დადიანის შემოქმედებაში.

დადიანის ბიოგრაფია და ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორი რთული და ტრაგიკული შეიძლება აღმოჩნდეს ემიგრანტი მხატვრის გზა: მსოფლიო აღიარება – უცხო მიწაზე, და სევდიანი მონატრება სამშობლოსი, რომელიც სიცოცხლეში ვედარ იხილა.

სწავლისა და შემოქმედებითი ცხოვრების გზამ სვიმონი საფრანგეთიდან იტალიაში, ხოლო იქიდან ამერიკაში გადაიყვანა. მეორე მსოფლიო ომის დროს ის ამერიკულ არმიაში იბრძოდა. ის თითქმის ერთადერთი ქართველი იყო, ვინც ამერიკის დროშის ქვეშ მონაწილეობდა სამარ ოპერაციებში (კალანდია, 2018, გვ. 12). თუმცა სამხედრო ცხოვრება მისი ცხოვრების მხოლოდ ეპიზოდი იყო, მან საკუთარი შემოქმედებითი ცხოვრება ფერწერასა და ქანდაკებას მიუძღვნა და მნიშვნელოვან აღიარებასაც მიაღწია.

დადიანის ადრეულ ნამუშევრებში იგრძნობა ევროპული ავანგარდის ძლიერი გავლენა: სიურრეალიზმი, სალვადორ დალის ხედვები, პიკასოს ფერთა პალიტრა და გეომეტრიული ფორმები. „უდაბნო“, „ყავისფერი კლდეების სილუეტები“, „ლურჯი ჩიტი“ და „პიკის ქალი“ სწორედ ამ სტილის ძიების შედეგებია.

თუმცა, სწორედ ძიებაში დაიწყო საკუთარი ხელწერის ჩამოყალიბება – მხატვრისთვის დამახასიათებელი აბსტრაქციული ტილოები, რომელთაც ამერიკულმა კრიტიკამ მაღალი შეფასება მისცა. 1953 წლის თანამედროვე ხელოვნებისა და ფერწერის მე-15 გამოფენაზე სიმონიკა დადიანის შემოქმედებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ქართველმა მხატვარმა მეორე ადგილი მოიპოვა. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა წერდა: „მისტერ პიტერ დადიანის ნამუშევრებში (სვიმონ დადიანი ამ სახელით ხშირად მოიხსენიება ამერიკულ კატალოგებსა და გამოცემებში. – გ.კ.) გამოყენებულია სტილიზაციის მთელი სისტემა, რომელიც მოდილიანის სტილიზაციას მოგვაგონებს. მისი ქანდაკების დახვეწილი აბსტრაქტული ფორმები ადამიანის სხეულის ანატომიის ცოდნას ეფუძნება. ავლენს ავტორის იუმორის გრძნობას და განსაკუთრებული ძალით გადმოსცემს პიროვნების ხასიათის თავისებურებებს...“ (კალანდია, 2018, გვ. 16).

1953 წლის თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე სვიმონ დადიანმა მეორე ადგილი მოიპოვა „შავი ტორსის“ ქანდაკებით. მისი ნამუშევრები გამოირჩეოდა დახვეწილი ფორმებითა და შინაგანი იუმორით, რაც ინდივიდუალურობასა და ოსტატობას უსვამდა ხაზს (კალანდია, 2018, გვ. 18).

ამასთან, დადიანის შემოქმედებაში უცხო გავლენებთან ერთად მუდმივად იკვეთება შინაგანი მონატრება – სურვილი, რომ ეს ნამუშევრები ერთ დღეს სამშობლოში დაბრუნებულიყო. „*ჩემი ყოველი ნამუშევარი, იქნებ ერთ დღეს, ერთად ჩემი მამის ან ბაბუის სოხუმის ზღვისპირა სახლში მოვათავსო*“ (კალანდია, 2018, გვ. 10), – წერდა ის დას, ბაბო დადიანს. ეს სიტყვები ემიგრანტი მხატვრის მხოლოდ პროფესიული ოცნება კი არა, სულიერი მისწრაფებაც იყო და ამას მუდმივად გამოხატავდა. სვიმონ დადიანი ერთ-ერთ წერილში დას თხოვნით მიმართავს: „*საჭმელს ნურას მიგზავნი, მირჩენია რამე პატარა სამახსოვრო, რომელიც შემრჩება. ამას უფრო ვაფასებ. სულ პატარა თიხის ქოთანს ნოსირის მიწით, ჩემი ოცნება არის*“ (დადიანი, 2018, გვ. 18).

ერთგან კი ამბობს: „სულ თან მაქვს მარტო ნოსირის მიწა და სალამური – ორივე ჩვენი ცხოვრების ობლობა და სევდა“ (დადიანი, 2018, გვ. 26).

დადიანის წერილებიდან იკვეთება, რომ იგი მუდმივად ცდილობდა, ახლოს ყოფილიყო ქართული კულტურასთან და არ მოწყვეტოდა მშობლიურ ფესვებს.

„თუ არის კარგი წიგნი ზღაპრების, შეგიძლიან გამომიგზავნო? როგორც იცი, უორდროპის ქალმა გადათარგმნა მეგრული და იმერული ზღაპრები. წავიკითხე დიდი ხანია, მაგრამ სიტყვა სიტყვით არის გადათარგმნილი და რაღაც აკლია. არ ვიცი რატომ, დიდი ხანია მინდა ქართული ზღაპრების გადათარგმნა, თანაც ნახატების გარევა. რამდენი რამის გაკეთება შეიძლება, დრო რომ იყვას“ (დადიანი, 2018, გვ. 18).

ერთგან კი წერდა: „ვარძიის სურათი რომ გამომიგზავნე, ძალიან დავაფასე. იქნებ აწი ბოლნისიც მომინახო... ვიცი, ჩემთვის რამეს ჩამოიტან, ასე რომ ახლავე გეტყვი რაც მართლა მაინტერესებს: 1. ქართული საეკლესიო გალობა – თუ არის ასეთი ფირფიტები. 2. ქართული ოპერა. 3. გორდელა. რავარც გახსოვს... ხალხური გალობა უკვე მაქვს“ (დადიანი, 2018, გვ. 26).

ქართული კულტურისა და ისტორიისადმი უდიდეს სიყვარულსა და ინტერესს გამოხატავს ის საკმაოდ ვრცელ წერილში ისევ და ისევ დის – ბაბო დადიანისადმი, რომელშიც პროფესიულ დონეზე ინტერესდება ქართული კულტურის მოღვაწეთა და მათი მიღწევების მიმართ:

„ძალიან მაინტერესებს ის ღია ბარათები რომლებზეც თრიალეთში ნაპოვნი ნივთებია ასახული, ან რაიმე სამეგრელოს ხელებიდან. ვერ წარმოიდგენ რა ხშირად ვუსმენ შენ მოცემულ ქართულ ფირფიტებს, ვუკრავ და ყოველთვის სევდა მეხვევა, მოულოდნელი არცაა, თუნდაც იმიტომ რომ ამ ქართულ სიმღერებში ვინ იცის მამას რამდენი საყვარელი კილო ჟღერს ბოლო ჩასვლისას პარიზში ჩვენებთან ოთახი დავალაგე და იქ გამოვქექე სამი ფირფიტა, რომელთაც შენი ხელით ეწერა „ცუცნას“. ორი გატეხილა, ერთი კი გადარჩენილა. ის ოპერა „დაისის“ ნაწილი იყო, ისე მომეწონა რომ წირვა გამოუყვანე დაკვრით. ეჰჰ რა ხმებია, რამდენი სიტკბო, ნეტავ მთელი ოპერა გამაგონა არ ვიცი ნახე თუ არა მხატვარი მირზაშვილი და თუ იხილავ უთხარი როგორ მომეწონა წიგნში ნანახი მის ნახატი „თუშეთი“... (დადიანი, 2018, გვ. 33).

მხატვრის წერილებიდან ჩანს, რომ ის მხურვალე გულშემატკივარი იყო ყველა იმ ღონიძიებისა თუ წარმოდგენისა, რომელიც სულ მცირედით, თუნდაც ირიბად იყო დაკავშირებული მის სამშობლოსთან. ერთ-ერთ წერილში სწორედ ასეთ ამბავს აღწერს:

„...ჰო, სულ ახლახანს ერთ სასაცილო ამბავი მოხდა „მედეას“ წარმოდგენაზე. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ერთმა ნაცნობმა მსახიობის გასაცნობად წამიყვანა და როცა კულუარებში შეგვახვევრა აღნიშნა: „სვიმონი მართლა აღტაცებული იყო, რომ ასე ღირსეულად წარმოადგინეთ მისი წინაპარიო“ – საწყალი ქალი ისე დაიბნა რომ პირი დააბჩინა – მეც მაშინათვე მივხვდი, რა იყო დაბნეულობის მიზეზი და მოკლედ ავუხსენი კოლხეთის ისტორია და ჩემი წარმომავლობა, ამის შემდეგ ბევრი ვიცინეთ და შამპანიურიც მივაყოლეთ“... (დადიანი, 2018, გვ. 33).

სამწუხაროდ, სამშობლოს მონატრებული მხატვრის სიცოცხლე ხანმოკლე აღმოჩნდა. მძიმე სენმა 57 წლის ასაკში შეიწირა „ქართველი მოდილიანის“ – სიცოცხლე. მხატვარს აუხდენელი დარჩა ბავშვობის ოცნება „ლექური ეცეკვა სამეგრელოში“ (დადიანი, 2018). 1975 წელს, 27 თებერვალს სვიმონ დადიანი სან-ფრანცისკოში გარდაიცვალა. დაკრძალულია სამხედრო სასაფლაოზე. მას არ ეღირსა საქართველოში დაბრუნება, თუმცა სიცოცხლეშივე გამოთქვა სურვილი, რომ მისი ნამუშევრები საქართველოს დაბრუნებოდა მაშინ, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობას დაიბრუნებდა.

დღეს, როცა მისი ტილოების ნაწილი უკვე სამშობლოშია, სვიმონ დადიანის სახელი ქართულ კულტურაში თანდათან იკავებს მისთვის განკუთვნილ ღირსეულ ადგილს,

დასკვნა. სვიმონ დადიანის ცხოვრება ნათელი მაგალითია ქართველი ემიგრანტი ხელოვანის ტრაგიკული ბედისა. მისი ნამუშევრები, წერილები და ოცნებები ერთიანად წარმოაჩენს ადამიანის სულიერ ძალას – სამშობლოს მიმართ ერთგულებასა და მონატრებას.

სვიმონ დადიანის შემოქმედება და ეპისტოლარული მემკვიდრეობა ქართველ საზოგადოებას მუდმივად გაახსენებს: სამშობლო მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე კი არა, სულიერი კერაა, რომელიც ადამიანის ფიქრსა და გულს არასდროს ტოვებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

კალანდია, გიორგი. (2019). *სიმონიკა დადიანი: დაბრუნება*. ხელოვნების სასახლე, თბილისი, ISBN 978-9941-8-0211-9.

„დადიანის დაკარგული ფერწერა – 30 წლის შემდეგ საქართველოში“, (2018). *ტაბულა*.

„ქართველი მოდილიანი – სვიმონ დადიანი აშშ-ში“, (2017). *კვირის პალიტრა*.

ოჯახური არქივები (Babo Dadiani; Paris, San Francisco) – გამოუქვეყნებელი წერილები და ჩანახატები.

Art Palace of Georgia. Documentary project: *Simonika Dadiani's Return*. [ხელოვნების სასახლის არქივი]

The Montross Gallery Archive (1950, NY): Exhibition catalog listing “Mr. Peter Dadian.”

San Francisco Opera Archives: Program design sketches by Simon Dadiani (1955).

References:

Art Palace of Georgia. Documentary project: Simonika Dadiani's Return. [Archive of the Palace of Arts].

“Dadianis dak'arguli perts'era – 30 ts'lis shemdeg Sakartveoshi”. (2018). [“Dadiani's Lost Paintings – 30 Years Later in Georgia”]. T'abula,

“Kartveli modiliani – Svimon Dadiani Ashsh-shi”. (2017).[“Georgian Modigliani – Simon Dadiani in the USA”]. K'viris P'alit'ra.

K'alandia, Giorgi. (2019). *Simonik'a Dadiani: dabruneba*. [Simonika Dadiani: Return]. Palace of Arts, Tbilisi, ISBN 978-9941-8-0211-9.

Ojakhuri arkivebi (Babo Dadiani; Paris, San Francisco) – gamoukveq'nebeli ts'erilebi da chanakhat'ebi. [Family Archives (Babo Dadiani; Paris, San Francisco) – Unpublished letters and sketches].

San Francisco Opera Archives: Program design sketches by Simon Dadiani (1955).

The Montross Gallery Archive (1950, NY): Exhibition catalog listing “Mr. Peter Dadiani.”